# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 227. | კვირა, 13 ივნისი 1904 წ. | გაზეთის № 2523


## დამნაშავე

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

(შემდეგი*)

ადამიანი პირობების მიხედვით ეჩვევა თავის მდგომარეობას. ფასოც შეეჩვია: უსიტყვოდ იტანდა ქმრის ავგულობას; ნათლად ხედავდა, რომ შესძულდა ქმარს, მაგრამ არ იცოდა როგორ დაეხწია თავი ამისთანა უბედურ ცხოვრებისაგან. ხანდისხან თითონაც სთვლიდა თავის თავს დამნაშავედ, რომ ერთი სალი ბავშვი ვერ გააჩინა. ყველაზე უფრო უძნელდებოდა მეზობლების შემოცლა, რომლებიც მოიმდურია და დაითხოვა თეიმურაზმა. მარტო მოხუცებული მართა დადიოდა თავისუფლად: იგი იყო მისი მეგობარი და ყურის მგდებელი,—არ ეშინოდა თეიმურაზის და პირსუკან ვეშაპს და ყარყუმს უძახოდა.

დედ-მამასთან წასვლა კი, სანამ უფრო ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, არ უნდოდა ფასოს, რადგანაც იცოდა, რომ იმათ სძულთ მისი საყვარელი ქმარი, შემდეგში კი რცხვენოდა! რა უნდა ეთ ვა მშობლებისთვის?



**ვიცე-ადმირალი პ. ა. ბეზობრაზოვი,**
წყნარ ოკეანეს პირველ ესკადრის უფროსი.

— რავა ვეტყვი, გამიჭირდა ცხოვრება მეთქი, მართა,—ეუბნებოდა ფასო მართას,—სირცხვილით რაფერ შევხედო პირზე ასე დაგლახებულმა?? მეტყვიან: აგია შენი გამორჩეული ქმარი,—ამიზა დაგვწრიხე, ვისში გაგვცვალეო?

— ღმერთი მოწყალეა, შვილო, გულს ნუ გეიტეხ: ერთი კაი ბალანაი გეყოლოს და მერმე ვაყურებიოთ მაგ ყარყუმს მისი სეირი.

— ვაი, ნეტაი შენ და შენი ღმერთი, მაი მეღირსებოდეს, თვარა...

უუთქვი, ნენავ, რაცხა ღმერთს.

— აბა არ უუთქვი, მართა! ფეხშიშველაი წასლას და ღამის თევას ვარ წმინდა გიორგიზე შეპირებული. ღვთის მშობელს ვერცხლის აკვანი და სიგძე სანთელი შევპირდი.

— დედაშვილობის გამჩენი ღმერთი მოგეხმარება, შვილო, უთხრა მართამ და ადგა წასასვლელად:—ამ ბალანას წევიყვან აბა, თვარა შენი ვეშაპი მოღალული მუა და დაგარჩობს...

— წეიყვანე, წეიყვანე, შენი ჭირიმე. რა ვქნა, ვერ მუახერხე ისე, რომ ვერ დეინახოს, და რა უყო.

*) იხ. „დამატება“, № 225, 1904 წ.

მართას მიჰყავდა ბავშვი. ფასო დიდის იმედით, სიყვარულით და გამოუთქმელის შურით შესცქეროდა მიმავალ მაღალ, გამხდარ ბებრის ოდნავ მოხრილ ზურგს, ათას ადგილას დაკერებულ, დაკონკილ, ძველ გამოურკვეველ ფერის კაბას და სევდიან ფიქრებს ეძლეოდა.

ჩქარა ისევ დაორსულდა. ცოლ-ქმარი თითქოს შეურიგდნენ ერთმანეთს. ორივეს რაღაც იმედი მოეცათ. თეიმურაზი თუმცა კეთილად არ ეკიდებოდა ცოლს, მაინც ისე გაუწყვეტლად აღარ უბღვეროდა. მუშაობდა ბევრს და თუმცა მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახმა უკან დაიწია, ნაკლულევანებას მაინც არაფერში გრძნობდნენ. ცხენი, ხარები, თითო მეწველი ძროხა, ღორი, ქათამი, კვერცხი—მუდამ ულეველად ჰქონდათ. მჭადი და ღომი, მართალია ეხლა აღარ ჰყიდდენ, მაგრამ საკმაოდ მოსდიოდათ.

ერთ სუსხიან და წვიმიან საღამოს დაბრუნდა სახლში თეიმურაზი. ცოლშვილი ცეცხლთან იჯდა და თბებოდა. გაიღო კარი თუ არა, ფასო შეკრთა შეშინებული. ეხლა აღარ უხაროდა ქმრის შინ დაბრუნება. თეიმურაზი თითქმის ყოველთვის მოულოდნელად მოდიოდა. თეიმურაზი გააბრაზა ამ შეკრთომამ და მოინდომა ჯავრის ამოყრა, მაგრამ არაფერი სთქვა, მაშინვე მოიძრო სველი ყაბალახი და გაუგდო ბავშს, რომელიც მეშვიდე წელიწადში იყო, მაგრამ სამისას კი ჰგავდა.

— დეიკავე ცეხლთან, გააშრე შენ, თავკობალავ!—დაუღრიალა ბავშვს.

ბავშმა ყაბალახი ვერ დაიჭირა. ამან მთლად გამოიყვანა მოთმინებიდან ისედაც გაბრაზებული თეიმურაზი და მივარდა საცემრად. ფასო კივილით ჩავარდა შუაში, მოხვია ორივე ხელი ბავშვს, ჩამალა კალთაში და ააცილა ცემა. მოქნეული მუშტი სამაგიეროდ მძიმედ მოხვდა წელზე. იმ ღამეს წაუხდა ფასოს მუცელი და აი მას მერმე გავიდა ორი წელიწადი, ფასო აღარ დაორსულებულა. ამ ორი წლის განმავლობაში სწორედ ჯოჯოხეთური ცხოვრება ჰქონდა. რა არ სცადა, რომ გამოეხსნა თავი: დედმამასაც კი მისწერა; პასუხი რომ არ მოუვიდა, გაქცევაც დააპირა. თავის მოწამვლაც კი უნდოდა, მაგრამ ბავშვის სიბრალულით ვერც ერთის შესრულება ვერ გაბედა. თეიმურაზი მხოლოდ ყანას მუშაობდა, სხვა საქმეებზე კი სრულიად აიღო ხელი, გაზარმაცდა და როცა შინ იყო, იყო ტახტზე გაშოთილი და იმსახურებდა ცოლს, რომელიც სძულდა ჭირივით. ეხლა ამას აღარ ფარავდა. ბოლო დროს ეჭვიანობაც დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცინწოუს ბრძოლა.

სტანჯავდა და ატირებდა ცოლს. ერთხელ გადასწყვიტა კიდევაც მიეტოვებია სახლკარი და წასულიყო სადმე. თხოვნა გააგზავნა, ჩაფრობა ითხოვა და გაჯავრებული წასძახა ცოლს:

— ჩქარა წავალ, სადნიკათ მინდა შევიდე. დაგტიებ შენ მარტოაი, ძაღლის საჭმელათ. რაც გინდა, იგი ქენი!

— ვაიმე, მაგას რაღა ჯობს, კას იზამ. ორივე შევისვენებთ პაწას,—მიუგო გახარებულმა ცოლმა. ამისთანა პასუხს არ მოელოდა თეიმურაზი. ეგონა, ცოლისთვის დიდი უბედურება იქნებოდა მისი წასვლა და ცოლს გაეხარდა კიდევაც.

— თვარა ასე გინდა? მე გამისტუმრო, და შენ აქანაი ჩემ ნაკტავ-ნაწყტავ ოჯახში იფარფაშო?.. ვინცხა-ვინცხას გამიეკიდო?.. არშიყები გეიჩინო?..

ფასო ატირდა.

— ვილას უნდებვარ, ოჯო, რეიზა იცი აი წამოქადნება: როის გამივეკიდე ვინმეს?..

— არა?.. მე არ გამომკიდიხარ?.. ვინცხას ქე იშონი ჩემსავით გადარეულს!.. ვერ მოგართვი... ჯინზე არ წავალ!—ღრიალებდა გაცხარებული თეიმურაზ.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ფასომ იგრძნო, რომ კიდევ ორსულად არის. ეწყინა და არც უნდოდა ეთქვა ქმრისთვის, მაგრამ ბოლოს ვერ მოითმინა და გამოუტყდა.

— მერე რავა, გეყოლება გგონია თუ?—დაეკითხა დაცინვით ქმარი.

— ყოვლისშემძლე ღვთის ნებაა: ვინ იცის?—მიუგო ფასომ.

თუმცა დასცინოდა ცოლს თეიმურაზი, თუმცა მის წყენას არ ერიდებოდა, მაგრამ ცოტათი თითქოს დამშვიდდა, რაღაც დაფარულმა იმედმა ისევ გაიღვიძა იმის გულში და ექვიანობასაც თავი დაანება. სამაგიეროდ ეხლა ფასო სულ შეშინებული იყო: რაღაცას გამოურკვევლად ელოდა და საშინლად მოუნდა მშობლების ნახვა. დღითი დღე ეს სურვილი უფრო უცხოველდებოდა და ბოლოს სრულიად მოიცვა მისი არსება. გაჯიუტებული თეიმურაზი კი უარზე იდგა.

— შენ რომ გაგიშვა, აი შეხვეწება იქნება და მე რეიზა შევეხვეწები? თვითონ შამომეხვეწონ.

— იგინი რეიზა უნდა შამოგეხვეწონ: მე ვარ იგინთან დანაშაული და უმფროსვანებიც არიან,—მიუგო ქმარს ფასომ.

— ეჰეი, თქვა თავადური; იგი დროი წევიდა! რაით არიან ჩემს უკეთესი, ჩემზე უმფრო მდიდარი არიან, თუ რაი? რავა თქვეს იგინმა, თეიმურაზ გოდორაძეს ჩვენ ბარაზე არ გავარონიეფო? მე მინდა იგინის ბარაზე გარება?..

— შეცთენ. შეცთენ, მუუტავე; შენ არ გინდა, მარა ჩემი მშობლებია და მე მინდა იგინის ნახვა.

— შენ იგი უნდა გინდოდეს, რაც მე მინდა, დამიჩოქოს დე მოუტავებ.

— ეჰ, დაგიჩოქოს,— გაათავა, როგორც ყოველთვის, ტირილით ფასომ.

კვირა დღე იყო. თეიმურაზი დაბრუნდა ეკკლესიიდან, გაიხადა ტანს და ის იყო უნდა დამსხდარიყვნენ სადილად, რომ ვიღაც ცხენოსანი მოადგა ჭიშკარს.

— ვინ ოხერია ნეტაი ამ უდროვო დროს?—გაიბუზღუნა უკმაყოფილოდ თეიმურაზმა.—მომეცი მაი ახალოხი, გადვიცვამ და გუუღებ ჭიშკარს,—მიუბრუნდა ცოლს.

ფასომ მსწრაფლ მიაწოდა ახალოხი, გადაახურა თეფში ღომიან ქვაბს, ღომი რომ არ გაციებულიყო, და გაიჭედა ჭიშკრისაკენ. ეზოში შემოვიდა მისი შორეული ნათესავი თავადი სარიდან ფირფიტაშვილი. ეს ერთად-ერთი ნათესავი იყო ფასოსი, რომელიც წელიწადში ერთხელ მოდიოდა მათსა. დაინახა თუ არა ნათესავი, ფასო სირბილით დაეშვა კიბეზე და გადაჰკოცნა სიხარულით.

— ოჰ, კიდევ გამსხვილებულხარ, ჩემო გოგუნავ? აბა ერთი კაი ბიჭი, ჰე, მე მომანათლიე, მამა მიცხონდება: გლახა თავადიშვილი ვარ, ურიგო ბუდუაი ვიქნები თუ?..—მან გადიგრიხა გრძელი ჭაღარა-შერთული ულვაშები, ჩამოისვა ხელი სუფთად გაპარსულ შერგვალებულ ნიკაპზე და სქელ ხუჭუჭა თმით დაბურულ თავიდან ხელის გაქნევით გადაიგდო უკან კისერზე ოქრომკედით ნაქარგი ლურჯი ფაფანაკი. აბა შენ, თეიმურაზ, გუუშვი მაი ცხენი, ხომ იცი, ამაღამ შენთან ვარ და ხვალ დილას კი, ნუ გეწყინება, ძმავ, და ნასაუზმევს გავსწიო უნდა. დღეს არსა მიმეჩქარება, მამა მიცხონდება, ცოლი არ მყავს და შვილი... მისანა ამბვებს გეტყვი, მამა მიცხონდება, რომ... სადილი ხომ არ შეგიჭამია, ბიძიავ, ა?—მიუბრუნდა ის ფასოს,—ოცდაათ ადგილს ვიყავი დღეს დაპაიჯებული, მარა ვიფიქრე, წავალ ერთს, ჩვენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვნახავ მეთქი. მამა მიცხონდება, იგი ტარიელიც მეიტაცებდა ნესტანს, ქაჯებს რომ არ წიერთმია... შენმა ტარიელმა აჯობა იმ ტარიელს, აჯობა, მამა მიცხონდება... მიყვარს სიმკვირცხლე...

სარიდანმა გადასცა ცხენი თეიმურაზს და მხიარულად გასწია ოდისაკენ. ფასო გახარებული გაუძღვა სტუმარს, შეიყვანა სახლში და დატრიალდა: საჩქაროდ გაშალა თეთრი სუფრა, ამოარიგა სამი კერძი წვნიანი ქათამი, ღომი, მჭადი მოიტანა ღორის დიდი ლორი, დაალაგა სუფრაზე ჭიქა, სალფეთქი, თანაც მხიარულად უგდებდა ყურს და ელაპარაკებოდა სარიდანს. ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა სახლში თეიმურაზიც, ღვინით სავსე დიდი დოქით ხელში.

— მამა მიცხონდება, ძალიან ღვინოა მაი, ჯერ არ დამილევია, მარა ვატყობ, მამა მიცხონდება...

თეიმურაზმა გაიღიმა. მას არ ეტყობოდა, გაუხარდა თუ ეწყინა სტუმრის მოსვლა. როგორღაც დარბაისლურად და მედიდურად ეჭირა თავი. ფასომ მოიტანა ტაშტი და თუნგი, დააბანინა სტუმარს და ქმარს ხელები და შემოუსხდნენ სუფრას.

— ბიძიავ, ერთი ციცაი რეიზა არ გყავს, მოსამსახურე ამისანა გაკეთებულ ოჯახში, მამა მიცხონდება; თავადიშვილის ქალიც რომ არ იყო, მაინც კა გეკადრება,—უთხრა სარიდანმა მხიარულად ფასოს, მადიანად მოგლიჯა ღომის დიდი ლუკმა, ამოაწო წვენში და გადაუშვა ხახაში.

თეიმურაზმა მრისხანედ გადახედა ცოლს.

— ბევრი საქმე აფერი მაქ საკეთებელი, ბიძიავ; ბაღნები არ მყავს ჯარი,—მიუგო ფასომ.

— აბა, ახლა ერთ ბიჭს რომ გაგვიკეთებ, მაშვინ დაგირჩება საქმე, მამა მიცხონდება...

— ბატონო, მაგას ბალანაის გაკეთება კი არ შუუძლია,— დაიწყო თეიმურაზმა.

— აა, ჰა,—ჰა,—ჰა,—ჰა, რას ჩივი, კაცო, მამა მიცხონდება, ბალანაის გაკეთება არ შუუძლიან ქალს, აბა რაის გაკეთება შუუძლია? ხა-ხა-ხა... რა ხუმარა ყოფილხარ, მამა მიცხონდება, კი არ მეგონა... ხა-ხა-ხა... ბალანაის გაკეთება არ შუუძლია... ხა-ხა-ხა!..—ხარხარებდა ბოხის ხმით სარიდან, თანაც ძიძგნიდა მაგარის თეთრის კბილებით ქათმის სხვადა-სხვა ნაწილებს.

ფასომ შეხედა ქმარს და ცრემლები მოადგა თვალებში.

— მაგას ბატონო შუუძლია გააკეთოს...

— ოო, მამა მიცხონდება, ძალიანი ფეხის არ ვყოფილვარ?—აგერ კიდო მოგადგა ცხენოსანი სტუმარი.

ყველამ მიიხედა ჭიშკრისაკენ, ეზოში მართლა ჩამოვიდა ცხენოსანი.

— აა, აი ჩემი სიძე ყარამან!—სთქვა თეიმურაზმა და წამოდგა.

— ოო, აგი ჩვენი ყარამან? კაი აზნაურშვილი, მამა მიცხონდება, მიყვარს ამისთანა ძველებური დარბაისელი ადამიანი, მამა მიცხონდება.—რა გვარია, ბიძიავ, ხომ კია აზნაურიშვილი?— დაეკითხა ის სწრაფად ფასოს, როცა თეიმურაზი გავიდა გარედ სტუმრის შესაგებებლად.

ცხენოსანი გადმოხტა, მიაბა ცხენი ხეზე და გამოსწია ოდისაკენ; წინ მიეგება თეიმურაზ და ორივენი შემოვიდნენ სახლში.

— მშვიდობა აქა და ყორიფელი კაი!— სთქვა მან კარებშივე და დაუკრა ყველას თავი.

— ვინც გვესტუმრა, გუუმარჯოს, შემოსტუმრებულს გუუმარჯოს! აგერ, ჩემო ყარამან ფაფარაძევ, რავაც დაგინახე, მაშვინათე გიცანი, მამა მიცხონდება: მიყვარს შენისთანაი კაი აზნაურიშვილი. ეჰეი, რა ბიჭები ვიყავით მე და შენ ერთჯელ... გახსოვს—თუ კაცი ხარ, მართალი თქვი, მამა მიცხონდება, მთელ გურიაში მოიძებნებოდა ჩემი ტოლი? ჩემისთანა თვალ-ტანადი, მოქეიფე, მოსიმღერე... გადაჩარჩხული რომ გამევიდოდი... მამა მიცხონდება... აბა, ბიძიავ, დაფაცურდი, მოართვი ყარამანს... თეიმურაზ, ჩამოგვისხი, აბა კაცო, მაი სანთლის ვოდკა, ღვინო, თავად აზნაურობა გეწვიეთ გოდორაძეს, ხომ ხედავ, ძმაო... გუუფსე, გუუფსე ჭიქა... ცხელი ღომი, ბიძიავ, ცხელი, ქერქიანი... იძლეოდა განკარგულებას მხიარული სარიდან, სთლიდა ღორის მსუქან ლორს, სჭამდა თითონაც და აწვდიდა აქეთ-იქით ყველას, ქონით გაზეთილ მსუქან თითებით.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს,— მიუგო მას, მდაბლად თავის დაკვრით, ყარამანმა და ჩამოართვა სავსე ჭიქა.—სიცოცხლე და კარგათ ყოფნა აქ ბძანებელ სტუმარ მასინძელს: ღმერთმა ამ ოჯახის კაი ვაჟიშვილი მაჩვენოს:—სთქვა მან, გადაჰკრა არაყი და გაიბერტყა გძელი ჭაღარა წვერი. მერმე გადაიძრო თავზე ყაბალახი, გადმოიგდო მხრებზე და დაჯდა მორიდებულად სარიდანის გვერდით.

— აბა, აბა გაგვიფსე კიდევ ჭიქები... სადღეგრძელო უნდა დავლიო, მამა მიცხონდება... აგი ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი ყარამან, ცოლით, შვილით, აბა ალავერდი შენთან, თეიმურაზ გოდორაძევ! ვიქეიფოთ, მამა მიცხონდება... აბა ჰე!— ერთი მრავალ ჟამიერ დეიწყე შენ, თეიმურაზ, ყარამან, შენ შენებური ბანი... მოძახილი ჩემი საქმეა—მრავალ-ჟამიერუუ...

ალარავის დაუცადა და დაიწყო ისევ სარიდანმა. ყარამანმა მისცა ბანი. თეიმურაზ გაჩუმებული ისმენდა.

— კიდევ რა ბიჭი ვარ, ა, გეიგონე,—მხიარულათ, მთლათ გაბრწყინვებულის სახით შამოსძახა სარიდანმა და ასწია ჭიქა,—იცოცხლე ყარამან, იცოცხლე.

— ღმერთმა გაცოცხლოს, დიდი დღეი მოგცეს, ბატონო!—მიუგო ყარამანმა სარიდანს და მიუბრუნდა თეიმურაზს: მე ახლა ვითამ ჩამოსლას და დაჯდომას კი არ ვაპირობდი; ამისთანა დიდი გვარის სტუმართან რავა უნდა გამოუცხადო, თვარა შინ მიმეჩქარება. ახლა ხუჩაფათს ხომ ამაღლებაა, შენმა დამა შემოგითვალა, უსიკვტილოთ უნდა ჩამოხვიდეო. ჩვენში დღეობა იციან, ხომ იცი, და ამას გარდა...

— მამა მიცხონდება, ყარამან, მე ვაპირობდი ახლა ამაღლებას შენსას მოსლას. გეწვიო უნდა, კაცო, მამა მიცხონდება, ვიცი გიამება, კაცო...

— მობძანდი, ბატონო, შენს უკეთეს ვილას დავპაიჯებ, მაინც...

— არა, კაცო, შენ მეიცაი ჯერ,—მიყურე, რა გითხრა, მამა მიცხონდება; მე რომ სარიდან ფირფიტაიშვილი ვარ, ხომ მიცნობ, მამა მიცხონდება!... რავა ვერ მიცნობ: ერთად შეზდილი ვართ, კაცო, მარა რა ჩოულობა მაქ, რა თიორი შევიმუშავე, ხომ არ იცი? მთელ ქვეყნიერობაზე მარტუაი მე გამევიგონე მაი, მამა მიცხონდება... ეხლა გაზეთებშიც მეხვეწებიან, უნდა ჩაგვაწერიოო... შენ ერთი იგი მითხარი, რეიზაა კაცი გაჩენილი? ა, რეიზა თუ იცი?... ვერ იტყვი, მამა მიცხონდება... იმიზა ვერ იტყვი, რომ თიორია არ გაქ. კაცი მხიარულობიზაა გაჩენილი!... რომ მხიარულათ გავატაროთ დროი, მამა მიცხონდება... აქანაიც ახლა რეიზა ჩამოვედი თუ იცი? თეიმურაზის დასაპაიჯებლად. შენთანაც ამაღლე-



რუსის დაჭრილი ჯარის-კაცი იაპონელთა საავადმყოფოში.

ას დასაპაიჯებლად მევიდოდი... წელიწადში ხომ, მამა მიცხონდება, სამას სამოცდა ხუთი დღეია, კაცო, არა? სარიდანმა აიღო ჭიქა, გადაჰკრა ღვინო და ხელ.. ქნევით განაგრძო:—ხომ სამას სამოცდა ხუთია, ა?

—ნაკიან წელიწადს სამას სამოცდა ექვსია, ბატონო!

— ეეჰ, ნაკიანს არ ვანგარიშობ, კაცო, მე ფრანციცულად ვანგარიშობ... ეხლა, მამა მიცხონდება, აგი სამას სამოცდა ხუთი დღეი რომ გათავდება, გავა ერთი წელიწადი შობას, არა? შობა მეორე დღეს დეიწყება მეორე წელიწადი, მე წელიწადს შობიდან ვანგარიშობ. აგი ჩემი თიორააა. და ამ შობა მეორე დღეს, ესე იგი ყოველ ახალ წლის მეორე დღეს, რას ვშობი აბა თუ იცი, მამა მიცხონდება, ა?!



— ამ წიგნში მოთხრობილია, რომ ქმრის მოღალატე დაისაჯაო, სიცრუეს სწერენ: რატომ მე არ დავისაჯე.

სარიდან ცოტა ხნით შეჩერდა, გაიმართა წელში, მარცხენა ხელი შემოიდგა წელზე, აიჩეჩა თმები, დიდრონი შავი მოცინარე თვალები გადაავლო თავის მოურძო არწივისებურ ცხვირს, მერმე შეხედა ყარამანს, რომ უფრო შთაბექდილება მოეხდინა, დააჩერდა მას, ასწია მარჯვენა ხელი მაღლა და ხმა-გაჭიანურებულად, თითის ქნევით განაგრძო:—მე ვპაიჯობ საამას სამოცდა ხუთ კაცს ჩემ სახლში, ჩემ სოფელში. უწყობ იმისთანა კამპანიას, მამა მიცხონდება, რომ... რა... ჩიტის რძეი მაკლია მარტუაი... ვასუმ ღვინოს, მარა რა ღვინოს: ცეხლს თლა, სპირტს... მერე, მამა მიცხონდება, გავათავებთ ამ სადილს თუ არა, მეორე დილასვე ისთევლე დევიწყო უნდა სიარული. კიდევ უნდა ჩამევიარო და კიდო უნდა დავპაიჯო აი სამას სამოცდა ხუთი კაცი; ასე რომ მთელი წელიწადი, დარიაავდარია, უნდა ვიარო კაცო, მამა მიცხონდება; რომ არ წევიდე, არ იქნება... ხომ ვერ ვაწყენინებ; იყო თუ არ იყო ჩემსას, ვინც დაპაიჯებული იყო, ყველას უნდა ვცე მაგიორი პატივი. სია მაქ აგერ და ვიარები. სადაც მივალ, იმ ღამეს აღარ გამომიშობენ. მეც, მამა მიცხონდება, ვასრულებ მასინძლის ნებას: ვრჩები... ყველას ვუყვარვარ, ყარამან, რომ... არ დეიჯერებ, კაცო: თვალში რომ ჩუუვარდე, ხელს არ ამეისვამს, მამა მიცხონდება... ა, აგერ, შეხედე, ამ ჩემ ნათესავ ქალს, რაფერი გაბრწინებული აქ სახე.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)




ტფილისის „კონკის“ უკანასკნელი დღეები

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.